„დამტკიცებულია“

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის,
სხალთის მთავარეპისკოპოსის სპირიდონის მიერ
2019 წლის 25 იანვრის № 01-03/04 ბრძანებით

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ბიბლიოთეკის საქმიანობასა და ფუნქციებს;

2. „უნივერსიტეტი“-ის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო და ინფორმაციული ხასიათის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

3. თავისი საქმიანობით ბიბლიოთეკა აქტიურად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის აკადემიურ დონეზე წარმართვას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და „უნივერსიტეტი“-ში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას;

4. ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით: „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“, „საავტორო უფლებების დაცვის შესახებ“, „უნივერსიტეტი“-ის რექტორის ბრძანებებით, მითითებებითა და წინამდებარე დებულებით;

5. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა შეუძლია „უნივერსიტეტი“-ის რექტორს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის (დირექტორის) წარდგინებით.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. „უნივერსიტეტი“-ის სასწავლო-სამეცნიერო, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროცესის უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო რესურსებით (რომლის სტრუქტურული შემადგენლობა და მოცულობა განისაზღვრება სასწავლებლის პროფილით, მიზნებითა და ამოცანებით);

2. საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალური ფორმირება, მათი აღრიცხვა, ორგანიზებული დაცვა, მეცნიერული დამუშავება და საცნობარო აპარატის წარმოება საბიბლიოთეკო საქმეში მოქმედი სტანდარტებისა და მეთოდური მითითებების შესაბამისად;

3. საბიბლიოთეკო ფონდებთან თავისუფალი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ტრადიციული და თანამედროვე საცნობარო აპარატისა და ღია თაროების საშუალებებით;

4. სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და ტექნიკური პერსონალის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება ბიბლიოთეკის სარგებლობის წესების შესაბამისად, ამ მიმართულებით ბიბლიოთეკათაშორისი აბონიმენტის (ბშა) ფორმებისა და საერთაშორისო წიგნგაცვლის შესაძლებლობების გამოყენება;

5. საბიბლიოთეკო დოკუმენტების სისტემატიზაცია საქართველოში მოქმედი საკლასიფიკაციო სისტემის შესაბამისად, ფონდების შინაარსის მაქსიმალური გახსნა ტრადიციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით;

6. საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაცვისათვის საჭირო პირობების შექმნა, ამ მიმართულებით რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, საბიბლიოთეკო დოკუმენტების მეორადი შერჩევის პროცესის სისტემატური ორგანიზება, შინაარსობრივი და სხვა თვალსაზრისით მოძველებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ჩამოწერა საქართველოში მოქმედი კანონქვემდებარე და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

7. **საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების სისტემატური გაფართოვება, რაც წიგნებისა და პერიოდიკის არჩევანის ფართო შესაძლებლობას ქმნის.**

8. ელექტრონული კატალოგი ქმნის შესაძლებლობას ადვილად მოიძიოს დაინტერესებულმა პირმა სასურველი წიგნები.

9. ბიბლიოთეკის რესურსების და სერვისების განახლება უზრუნველყოფილია საქართველოს ბიბლიოთეკის ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელში ჩართულობით.

10. სტუდენტთა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი გამოცემებით უზრუნველყოფის სისტემატური შესწავლა და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება ცალკეული საგნების სპეციალისტთა მონაწილეობით;

11. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული სამსახურის ორგანიზება ტრადიციული ფორმებითა და თანამდეროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, უმაღლესი სასწავლებლის პროფილის შესაბამისი პერიოდული და სერიული გამოცემების ანალიტიკური დამუშავება, მონაცემთა ბიბლიოგრაფიული ბაზების ორგანიზება, დიდი ფონდების მფლობელი ბიბლიოთეკების ელექტრონული კატალოგების გამოყენება;

12. „უნივერსიტეტი“-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ფონდების ორგანიზება, დაცვა და საცნობარო აპარატის წარმოება;

13. ელექტრონული კატალოგის წარმოება მიღებული სტანდარტებისა და საბიბლიოთეკო პროგრამების გამოყენებით, ამ მიმართულებით კოორდინაციული მუშაობის წარმართვა უნივერსალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკებთან;

14. „უნივერსიტეტი“-ის საფაკულტეტო ბიბლიოთეკებისა და კაბინეტ-ლაბორატორიების უზრუნველყოფა პროფილური საბიბლიოთეკო დოკუმენტებით, მათი ცენტრალიზებული აღრიცხვა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საცნობარო აპარატის წარმოება;

15. საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაცია სტუდენტთა შორის. მკითხველთა ინფორმირება საბიბლიოთეკო დოკუმენტების გამოყენებისა და

ბიბლიოთეკის შესაძლებლობების შესახებ, ამ მიზნით საუბრებისა და კონსულტაციების გამართვა პირველკურსელებთან;

16. მასობრივი საბიბლიოთეკო და საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარება, ახლადგამოცემული მასალების წარმოდგენა, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვებისა და მკითხველთა კონფერენციების, ინფორმაციის მასობრივი და შერჩევითი გავრცელების ორგანიზება;

17. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება და წინადადებების წარდგენა რექტორატში.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის სტრუქტურა და შტატები

1. ბიბლიოთეკის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს განსაზღვრავს რექტორი;

2. სასწავლებლის კონტიგენტის (5000 და მეტი) და ბიბლიოთეკის თანამშრომელთა რაოდენობის საფუძველზე, ბიბლიოთეკაში შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი განყოფილებები: მომსახურების, ინფორმატიკის, დაკომპლექტება-დამუშავების, საცნობარო-ბიბლიოგრაფიულის.

3. საბიბლიოთეკო პერსონალის თანამდებობები განისაზღვრება მათი კვალიფიკაციის მიხედვით: განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი, სპეციალისტი.

მუხლი 4. ბიბლიოთეკის მართვა

1. „უნივერსიტეტი“-ის ბიბლიოთეკას მართავს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი (დირექტორი), რომელსაც ნიშნავს რექტორი;

2. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) შეიმუშაოს და სასწავლებლის ხელმძღვანელობას წარუდგინოს ბიბლიოთეკის დებულება და სარგებლობის წესები;

ბ) იზრუნოს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, უზრუნველყოს მათი განუწყვეტელი პროფესიული სწავლება;

გ) ითანამშრომლოს საქართველოში არსებულ მოქმედ ბიბლიოთეკებთან, საერთაშორისო ფონდებთან;

დ) გაეცნოს და გამოიყენოს IFLA - სა და იუნესკოს რეკომენდაციები და სახელმძღვანელო მასალები;

ე) ბიბლიოთეკის მართვაში გაითვალისწინოს თანამედროვე საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ფორმები და საშუალებები;

ვ) მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკური და საერთაშორისო ხასიათის სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში. „უნივერსიტეტი“-ის რექტორთან შეთანხმებით ჩაატაროს ასეთი კონფერენციები საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.